# ცნობის ფურცელი

**V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— ხუთშაბათი, 17 აგვისტო 1900 წ. № 1212.**

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе".
**ტელეფონი № 372.**



## „მ ო ა მ ბ ე" 1900 წ. „ცნობის ფურცელი"

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე"-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, მიმაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.**

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели".

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

## „ცნობის ფურცლის"

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

## კ ა ნ ტ ო რ ა

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (3—6.—2)


## დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აგვისტო

**პეტერბურგი.** 12 აგვისტოს ჩიტაში მოვიდა წითელი ჯვრის რაზმი დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობისა; რაზმი შესდგება რწმუნებულის რაევისაგან, სამის ექიმისაგან და 24 მომვლელ ქალთაგან; ექვსი ამათგანი დარჩება ჩიტას საავადმყოფოში, დანარჩენები წავლენ ხაილარის რაზმის ბანაკში.

მონგოლები მეგობრულად ეგებებიან გენერალ ორლოვის ჯარს, უზიდავენ მას სანოვაგეს და ფულსაც არ ართმევენ.

ნიუჩჟუანის სამოქალაქო საქმეთა მმართველობა დროებით მიენდო რუსეთის კონსულს.

**პეკინი.** დღეს დაზვერეს პეკინის მიდამოები; ამბობენ. რომ შეიარაღებული ჩინელები სძარცვავენ მცხოვრებთ სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ბენგალიის ულანებმა აღმოაჩინეს პეკინიდან ოთხი მილის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთისაკენ დიდძალი ჯარი.

**ტიანცზინი.** რაზმი, შემდგარი ათას რუსებისა, გერმანელებისა და იაპონელებისაგან, წავიდა პეკინიდან, როგორც ფიქრობენ, ქვრივ დედოფლის დასაჭერად.

**ჰონკონგი.** კვანდუნისა და სხვა პროვინციების გუბერნატორებმა მიიღეს დედოფლისაგან დეპეშა, რომლითაც ის უბრძანებს მათ, რომ გადაუხადონ ჯარებს 300 ათასი ტაელი.

**შანხაი.** ამას წინად ხანკოუში აღმოაჩინეს შეთქმულება რამდენიმე ჩინელისა. შეთქმულება, როგორც ჰფიქრობენ, ევროპიელთა საწინააღმდეგო არ იყო; მას რევოლიუციონური ხასიათი აქვს.

**შანხაი.** ლიხუნგჩანგმა დეპეშა მიიღო იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრისაგან, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოლაპარაკების დაწყება შეუძლებელია, სანამ ჩინეთი არ დანიშნავს ისეთ რწმუნებულთ, რომელთაც სახელმწიფონი მიიღებენ. მინისტრი ამბობს შემდეგ, რომ სახელმწიფონი მიიღებენ, როგორც რწმუნებულს, მას-ლიხუნგჩანგს, ხოლო, როგორც ასსისტენტებს—ნანკინისა და ვუჩანის მმართველთა; ბოლოს მინისტრი აცხადებს, რომ საჭიროა ჩინეთმა ფორმალურად აღიაროს თავისი დანაშაულობა და თანხმობა გამოაცხადოს ზარალის ზღვევაზე. თუ ჩინეთი თანახმა გახდება ამ პირობაზე, იაპონია მზად არის ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ჩინეთს მოლაპარაკების საქმეში.

**ბერლინი.** ტოკიოდან იუწყებიან, რომ პეკინში მდგომ იაპონიის ჯარის უფროსი დეპეშით იტყობინება 5 აგვისტოს ქალაქიდან მტერი სრულიად განდევნილ იქმნაო. იაპონიის ცხენოსანი რაზმი, მანსონს გაგზავნილი, იუწყება, რომ იმპერატორის სახლეულობამ თავი დაანება პეკინს 1-ლ აგვისტოს, მცირე ხანს შეისვენა მანსონს და გაემართა დასავლეთისკენ; მას თან ახლავს გენერალი მა, რომელსაც ჰყავს 100 ჯარის-კაცი 20 ურმით.

**ტაკუ.** პეკინში შესდგა რაზმი, რომელიც თან უნდა გაჰყვეს დაჭრილებს, დედაკაცებს და ბავშვებს პეკინიდან ტიანცზინამდე. იტალიის ელჩის ოჯახიც ამ რაზმს შეუერთდება იაპონიაში წასასვლელად. იტალიის ჯარს, პოლკოვნიკის გარიონის უფროსობით, ელიან ჰონგკონგიდან პეკინში.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო სამრეწველო გადასახადის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

უმაღლესად ნაბრძანებია დაარსეს ცხრა ბატარეია; ეს ბატარეები ჩაირიხებიან იმ სამს კორპუსში, რომელნიც მოქმედებენ შორეულს აღმოსავლეთში. იმ დანაკლისის შესავსებად, რომელიც მოუვიდა ზაბაიკალის ყაზახთა ჯარს, ნაბრძანებია შესდგეს ცხენოსანი და ქვეითი რაზმები, ცხენოსანი—ჩიტაში, ქვეითი—ნერჩინსკში.

**ბელგრადი.** მინისტრად ნამყოფი იოვან-დიაია დაინიშნა დიპლომატიურ აგენტად სოფიაში სამსახურიდან დათხოვნილის ივანე პავლოვიჩის მაგიერ.

**სტოკჰოლმი.** ანდრეს „ბუი" გახსნეს, შიგ ვერაფერი ვერ იპოვეს.

**ამსტერდამი.** როგორც გაზეთიდან იტყობინებიან, სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა წინადადება შემოიტანეს, რომ საერთა შორისო სამედიატორო სასამართლოს უმთავრეს მდივნად დაინიშნოს ბარონი მელვილ ვან-დინ-დენი.

**ლონდონი.** გლაზგოდან იუწყებიან, რომ მთელი ოჯახი, რომელიც შესდგება მამის, დედის და ბავშვებისაგან, ადგილობრივ ექიმთა მხედველობის ქვეშ ისხცეს, რადგანაც ისინი შავი-ჭირით გახდნენ ავად.

**შანხაი** უცხოელთა კონსულებმა უკმაყოფილება გამოაცხადეს იმის გამო, რომ ზოგიერთებს ჰსურდათ შანხაის გაჩირაღდნება პეკინის განთავისუფლების გამო; მათ ქალაქის გამგეობას შეატყობინეს, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას გაჩირაღდნებაში.

**შანხაი.** ხმა დადის, რომ ინგლისელები რაღაც საყურადღებო საქმისთვის, ემზადებიან იანცზეს ხეობაში.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება პოლკოვნიკ რინდლეის განთავისუფლების შესახებ: რინდლი 250 ცხენოსანი და 25 ქვეითი ჯარის-კაცით 1000 ბურმა დაამწყვდია ვინბურგში; რინდლეს მოუკლეს 30 მეტი კაცი.

რენდლი იტყობინება, რომ გარისმიტში მას 169 ბური დანებდა.

**პარიზი.** საფრანგეთის კონსული იტყობინება შანჰაიდან, რომ

იმპერატორი, დედოფალი და პრინცი ტუანი შენსში იმყოფებიანო.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება, რომ ვინბურგთან ინგლისელებმა ტყვეთ წაიყვანეს ბურების გენერალი ოლივიე.

**მასერუ.** სენეკალთან და ბეთლემთან გაჩნდა ბურების სამი პატარა რაზმი.

სოლსბერიდან 13 მილის მანძილზედ ხიდიდან გადავარდა საქონლის მატარებელი; სამი კაცი დაიღუპა.

**ლონდონი.** მატსუდან იუწყებიან 7 აგვისტოს, რომ ჩინელები თან და თან უფრო მტრულად უყურებენ „დიდი მუშტის“ პარტიას; სოფლის მცხოვრებნი თავს ესხმიან მოკრივეთ და ჰხოცამენ მათ.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

« პარიზიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მოკავშირე სახელმწიფოები უკვე შეთანხმდნენ ჩინეთის კითხვის ორ უმთავრეს პუნკტის შესახებ. სახელმწიფოები დარწმუნდნენ, რომ ჩინეთის ტერიტორია ხელუხლებელი უნდა დარჩეს და ესლანდელ მანჯურიის დინასტიას უნდა შერჩეს საიმპერატორო ტახტი, რადგანაც ახალ დინასტიის ტახტზე აყვანა ახალ არეულობას გამოიწვევს ჩინეთში.

იქიდანვე იტყობინებიან, რომ ლიხუნჩანგს ყოველ დღე მოლაპარაკება აქვს შანჰაიში უცხოელ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან.

« პარიზიდანვე იტობინებიან, რომ ტულონის არსენალში გაცხარებული მუშაობაა, რადგანაც ემზადებიან მაროკოსა და ალჟირის საზღვრებზე სამხედრო ოპერაციებისათვის.

« ჩინეთის წყაროებიდან იტყობინებიან, ვითომც მოკავშირე სახელმწიფოები თხოულობდნენ პრინც ტუანის სიკვდილით დასჯას.

შანჰაის კონსულები შიშობენ, რომ ჩინელი ჯარები თავს იყრიან პეკინის ახლო, შეერთებულ ჯარების ზურგს უკან და შეუძლიანთ მოსწყვიტონ ისინი ტიანძინს.

« საფრანგეთის ჯარები ჯერ ტონკინში მივლენ და იქ მოუცდიან შემდეგ განკარგულებებს ჩინეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყების შესახებ.

« პოლკოვნიკი მარშანი, ცნობილი ფაშოდის ექსპედიციის ცნობილი უფროსი, დაინიშნა საერთაშორისო მთავარ-შტაბის წევრად ჩინეთში და იქნება გრაფ ვალდერზეესთან საფრანგეთის მხრივ.

« ბერლინიდან სწერენ გაზეთ «ტაიმს»-ს: «ეხლა საინტერესოა გავიგოთ, თუ როგორი იქნება გერმანიის პოლიტიკა მას შემდეგ, რაც პეკინი აიღეს და თავიდგან აშორდა მოკავშირეებს ის საშინელი უბედურება, რომლის წინაშეც ყოველი შური და ანგარება უნდა მიჩუმებულიყო. ბერლინში იმდენად შიშობენ პოლიტიკის მოსალოდნელ მიმდინარეობის წინაშე, რომ პრესსას თითქმის დაავიწყდა სიხარული გამოეთქვა პეკინზე გალაშქრების ასე ბედნიერად დაბოლოვებისათვის; მას მხოლოდ ის კითხვა აინტერესებს, თუ რა იქნება შემდეგში. ზოგიერთი წრეები ჰფიქრობენ, რომ სამხედრო ოპერაციები თითქმის დაბოლოვებულნი არიან და რაც გასაკეთებელი დარჩა, უმთავრესად დიპლომატიის მხრით უნდა დამთავრდეს. ის გაზეთებიც კი, რომელნიც «მსოფლიო» პოლიტიკით არიან გატაცებულნი, ხანდახან ამბობენ ხოლმე, რომ გრაფს ვალდერზეეს შეემლო სახლში დარჩენილიყო, რადგანაც მთავარ-სარდალი იქნება მხოლოდ სახელით,—honoris causa. ოფიციალური წრეები კი ამ აზრისა არ არიან; ოფიციოზური გაზეთები ამტკიცებენ, რომ პეკინის აღება მოკავშირეთა მოქმედების პროგრამის მხოლოდ ერთი მუხლია.

« როგორც მკითხველებმა იციან, ბევრი ჩინეთში მომხდარ არეულობას აბრალებენ მისსიონერებს. ცნობილი საფრანგეთის პუბლიცისტი ყოფრუა დე-გრანმეზონი არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, რომ კათოლიკე მისსიონერებს დიდი დამსახურება მიუძღვით კაცობრიობის წინაშე.—«ჩინეთის კითხვაში ცალკ-ცალკე უნდა განვიხილოთ კათოლიკე მისსიონერებისა და ევროპის სახელმწიფოების როლები,—ამბობს ავტორი;—პირველები ემსახურებიან ცივილიზაციის იდეას, მეორენი კი—ანგარების მიზნებს. პირველებიცა და მეორეებიც პასუხის მგებელნი არიან განათლებულ კაცობრიობის წინაშე და ამიტომ საჭიროა თვითოეულს მათგანს მივუზღოთ ის, რისიც ღირსნი არიან.

მისსიონერებს შეაქვთ ცივილიზაციის სინათლე ბნელ წარმართ წრეში და ამ მათ ხელმძღვანელ მაღალ მიზანს მსხვერპლად სწირავენ ისინი თავიანთ ენერგიას, სულს და ხშირად სიცოცხლესაც კი.

ის საქმე, რომელსაც მისსიონერები ემსახურებიან, ადვილი არ არის, მაგრამ ისინი სძლევენ ყოველ სიძნელეს და, დარწმუნებულნი თავიანთის საქმის სიწმინდეში, მიისწრაფვიან აღნიშნულ მიზნამდე აუჩქარებლად, მაგრამ ბეჯითად. 500,000,000 ჩინელებში იყო 700 ათასი ქრისტიანი. მიმდინარე წელს მოაქციეს 17,000 ჩინელი და აიყვანეს აღსაზრდელად 150,000 უპატრონოდ მიტოვებული ბავშვი.

მისიონერები უნდა ებრძოლონ თავიანთ ასპარეზზე ჩინელ სწავლულებს, ცბიერ მანდარინებს და შეუგნებელ ბრბოს. ჩინელ სწავლულებს ეზიზღებათ ქრისტიანობა; მანდარინები თანაუგრძნობენ სწავლულებს, რადგან მათ ეშინიათ, რომ გაქრისტიანებული ჩინელი ისე ადვილი საოლელი არ იქნება მათთვის, როგორც გაუქრისტიანებელი. რაც შეეხება ბრბოს, იგი საუკუნოებით მიჩვეულია თავის სარწმუნოებას, მრწამს ჩინეთის დრაკონის კანონების წინაშე და ფიქრობს მხოლოდ თავის უნუგეშო მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ.

ქრისტიანობის მქადაგებლების მდგომარეობა ამ პირობებში საშინელია—მათ ცილსა წამებენ, აბრალებენ უსაშინელეს დანაშაულობას, აქეზებენ ბრბოს მათ წინააღმდეგ და ყოველ წუთს შეურაცხყოფას აყენებენ.

მარტო სიტყვიერ ქადაგებას არ სჯერდებიან მისიონერები—ისინი აარსებენ სკოლებს, საავადმყოფოებს, ობოლთა თავშესაფარებს, უფასო აფთიაქებს და სხვა, ცოტ ცოტათი ბრბო ეჩვევა «თეთრ ეშმაკებს», აფასებს მათ თავ-განწირულ მოღვაწეობას და უანგარობას.

ჩინეთში და ტიბეტში 40 საეპისკოპოზოა, ამათგან 39 საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებიან.

ჯერ კიდევ 1844-ში დე-ლაგრენეს მეცადინეობით ჩინეთის მთავრობამ იცნო საფრანგეთის პროტექტორატი ყველა ჩინეთში მოსულ უცხოელებზედ. 1860-ში განმეორებით აღიარებულ იქმნა საფრანგეთის ეს უპირატესობა. ბოლოს, 1899 წლის 15 მარტს, ცნობილმა დეკრეტმა უფრო ცხადათ გამოარკვია მისსიონერების მდგომარეობა ადგილობრივ იერარქიაში და მისცა მათ უფლება საჭიროების დროს მიჰმართონ მფარველ სახელმწიფოს.

როგორც ყველგან და ყოველ ასპარეზზედ ჩინეთშიაც გადაელობა გერმანია საფრანგეთის გავლენას; მთელი 15 წლიწადია იგი სცდილობს მოსპოს საფრანგეთის პროტექტორატი ჩინელ ქრისტიანებზედ.

გერმანიის მთავრობა თხოულობდა რომის პაპისგანაც და ჩინეთის იმპერატორისაგანაც საფრანგეთის უპირატესობის მოსპობას. 1886-ში პეკინში დაარსდა გერმანიის ნუნციატურა. პირველი მოღვაწეობა გერმანელ კათოლიკე-მისსიონერებისა იმდენათ ნაყოფიერი შეიქნა, რომ ლეო მე XIII-ემ არ იცოდა ვისთვის მიეცა უპირატესობა—გერმანიისათვის თუ საფრანგეთისათვის. მაგრამ პაპი მალე მიხვდა გერმანიის მთავრობის პოლიტიკის ნამდვილ სარჩულს და პროტექტორატის საქმე ისევ ძველებურად დასტოვა.

1887-ში მონ-სინიორ ანცერი, ეპისკოპოზი ერთად-ერთი გერმანელ ვიკარიატისა, რომში იყო და სცდილობდა გერმანიის პოლიტიკის გამარჯვებას. ჩინეთში დაბრუნებისთანავე ანცერმა პაპის ოფიციალურ ნება დაურთველად გამოაცხადა, რომ გერმანული ვიკარიატი ვილჰელმ მე-II-ის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. მის ბედზე საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო უენერგიო იყო. მაგრამ საფრანგეთის წარმომადგენელი ვატიკანში იმდენს ეცადა, რომ პაპამ ერთხელ კიდევ აღიარა საფრანგეთის პრატექტორატი ყველა ქრისტიანებზე განურჩევლად ეროვნებისა.

კიაო ჩაოს დაპყრობის შემდეგ გერმანელ დიპლომატიის ეს მატერიალური გამარჯვება დაგვირგვინებინა ზნეობრივი გამარჯვებითაც, ესე იგი შეეგონებინა პაპისათვის გადაეცა გერმანიისათვის რელიგიური ჰეგემონია ჩინეთში; მაგრამ ამ საქმისათვის გაგზავნილმა კარდინალმა კოპპმა მიზანს ვერ მიაღწია. (დასასრული იქნება)

# ახალი ამბავი

✦ რუსეთის რკინის გზებზე მიმოსვლის გაწეს-რიგებისათვის გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს გაამრავლოს ვაგონების რიცხვი.

✦ მიმდინარე წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულში გაკეთდება 150 ფუთამდე ჩაი. ცნობილი ჩაის ვაჭარი რასტორგუევი იძლევა გირვანქაში $1\frac{1}{2}$ მანეთს.

✦ რადგანაც ქალაქ გორის ბევრ მესაკუთრეს დიდი ხანია არ გადაუხდია ქალაქის გადასახადი (მათზე იოვლება ეხლა 16,000 მანეთი), ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება მისცა ქ. გორის მოურავს შეატყობინოს პოლიციას სია იმ პირთა, რომელთაც ეს ქალაქის ვალი ადევთ, რათა კანონის წესით გადაახდევინონ მათ ეს ვალი.

✦ ტფილისის გუბერნიის საექიმო სამმართველომ გაგზავნა ტფილისის მაზრის ექიმი გომბორზე, სადაც, როგორც წინედ მოხსენებული გვქონდა, ტიფი უნდა გაჩენილიყო თუშ-ფშაველებს შორის. ექიმს ყველა სახლები მოუვლია და, როგორც იწერება, ტიფის ერთი შემთხვევაც კი ვერ აღმოუჩენია. გამოკითხვიდან დამტკიცდა, რომ მთიულთა შორის მალიარია იყო გავრცელებული და ისიც სუსტად.

✦ ტფილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭო

იძულებული შეიქმნა დაექირავებინა ზავრიევის სახლი (ნიკოლაევსკაია № 23) მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებისათვის, რადგანაც უკვე დაქირავებულ ენფიანჯიანცის სახლში არ შეიძლებოდა მოთავსება ყველა მსურველებისა. მსურველთა რიცხვი ეხლა 400-ს აღემატება.

✦ ახალ ვაგონებს ექმნებათ სიჩქარის მზომელი მანქანები ახალი სისტემისა; ამ მანქანის საშუალებით მემანქანეს კანტროლი ადვილია. ეს კანტროლი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მემანქანეები ხშირად ჩქარობენ და ამას უბედურება მოსდევს ხოლმე.

✦ გზათა სამინისტრომ სიჭიროდ იცნო, მოაწყოს ნავთ-სადგურებზე განსაკუთრებული შენობები მგზავრთათვის.

✦ მიმდინარე წლის შემოდგომაზე გზათა სამინისტრო შეუდგება ადგილობრივ რკინის გზათა სამმართველოების შტატების შედგენას,

✦ ქ. თელავიდან გვწერენ რომ 11 აგვისტოს თელავის კლუბის დარბაზში გამართულ იქმნა საბენეფისო წარმოდგენა ბ. მ. აჯიმამუდოვისა, რომელშიაკ მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა და ვ. ალექსეევ-მესხიევი. თუმცა აფიშაში გამოცხადებული იყო სამი პიესა, მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზისა გამო (მიზეზი არ გამოუცხადებიათ) მესამე პიესა ე. ი. „სიყვარული ახალგაზრდა ქალისა“ გამოსტოვეს და მარტოლა წარმოადგინეს: „ხათაბალა“ კომედია 4 მოქმედებად სუნდუკიანცისა და „Записки сумасшедшаго“ გოგოლისა რუსულ ენაზე. თელავის საზოგადოებამ, რა გაიგო ბ-ნ აჯიმამუდოვის ბენეფისიაო, ერთი კვირის წინვე დაიწყეს ბილეთების ყიდვა, ასე რომ წარმოდგენის დღეს ერთი ბილეთიც-კი აღარ იყო გაუყიდავი; საზოგადოება ადრე შეიკრიბა წარმოდგენის დარბაზში, ასე რომ 8 საათზედ იგი ავსებული იყო, თუმცა ჯერ კიდევ ბევრნი აკლდნენ; ამისთვის როცა დანარჩენი საზოგადოებაც მოვიდა საშინელი არევ-დარეულობა იყო, რამაც ბევრი უსიამოვნება გამოიწვია. არა ნაკლები უსიამოვნობა ხდებოდა შესვლის დროს კარებში კანტროლის გადამეტებულ სიმკაცრის გამო.

პირველად ბ-ნმა ვ. ალექსეევ-მესხიევმა წაიკითხა „შეშლილის წერილები“. თელაველებს ასეთი საუცხოვო თამაში არასდროს არ უნახავთ, მაგრამ ზოგიერთნი დამსწრეთაგანი თავიანთი უცოდინარობისა გამო უადგილო ადგილას იცინოდნენ და, რასაკვირველია, სხვასაც უშლიდნენ დამტკბარიყვნენ ხელოვნურის თამაშობით. „ხათაბალა“-ში მონაწილეობას იღებდნენ ქქ-ნი: საფაროვ-აბაშიძისა, საფაროვისა, გამყრელიძისა და დიდებულიძისა, ბ-ნნი: აწყურელი, აჯიმამუდოვი და ი. ვახვახიშვილი. ამათში ირჩეოდნენ ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა და დ. აწყურელი. ქ. საფაროვ-აბაშიძისამ—ნატალია ისაიას ვაჰრის ცოლის როლი ისე საუცხოვოდ თავისუფლად, მიხვრა მოხვრით და როლის ცოდნით, შეასრულა რომ საზოგადოებას ძრიელ მოეწონა და რამდენჯერმე გამოიწვიეს და მიართვეს ყვავილების თაიგული, განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში იყო შეუდარებელი. მესამე მოქმედების სიმღერა საზოგადოებამ გაამეორებინა არტისტ ქალს. არა ნაკლებათ შეასრულა ისაია ვაჰრის როლი ბ-ნმა აწყურელმა, რომელმაც საზოგადოება ბევრი აცინა, ნამეტნავად მესამე მოქმედებაში; არტისტის თამაშს ხელს უწყობდა კარგი გრიმი და შესაფერი ტანისამოსი. მობენეფისეს პატივისმცემლებმა გვირგვინი მიართვეს; სიღნაღის საზოგადოებიდან მიუვიდა ბ-ნ აჯიმამუდოვს ადრესი.

## საღამოს დეპეშები

16 აგვისტო

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და ტახტის მემკვიდრე წაბრძანდნენ ჯეტერგოფიდან პეტერბურგს, სადაც თაყვანი სცეს იმპერატორი ალექსანდრე მე-III და სხვა უავგუსტოეს გარდაცვალებულთა საფლავებს და დაბრუნდნენ უკანვე პეტერგოფში.

**პარიზი.** 11 აგვისტოს ტაკუში გადმოსხეს 2000 საფრანგეთის ჯარის კაცი.

**კაპშტადტი.** ბელფასტ-დალმანუტის მიდამოებში ბრძოლა არ შეწყვეტილა; ბულერმა აიღო დალმანუტის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე სიმაგრე ბერგენდალი.

**ლონდონი.** პრეტორიიდან იტყობინებიან 14 აგვისტოს, ვითომ ბოტასთან ბრძოლის დროს ჩვენს ჯარებს გაურღვევია მტრის რაზმი; მტერს უკან დაუწევია. ინგლისელების ზარალი უმნიშვნელოაო.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატებს არ მიუმართავს არც ერთ სახელმწიფოსათვის და არ მოუწვევია ჩინეთის საქმეების შესახებ სათათბიროდ, არც სხვა სახელმწიფოების მიუწვევია შეერთებული შტატები ამ საგნის შესახებ კონფერენციაზე.

**ჰონკონგი.** იაპონიის გენერალი გოტო მოვიდა ფორმოზიდან ამოაში თავისი შტაბით. იაპონიის ჯარები იცავენ უცხოელ ახალშენებს. ზარბაზნები მარჯვე პოზიციაზე დადგეს. ჩინელები თავს ანებებენ ქალაქს.

**ლონდონი.** გლასგოში შავი ჭირის გაჩენის შესახებ იტყობინებიან, რომ მდგომარეობა უფრო საშიშოა, ვიდრე მოელოდნენ. ნახეს კიდევ რამდენიმე კაცი შავი ჭირით ავათ. ორი გარდაიცვალა. ორმოცი ოჯახი გახიზნეს და ექიმები მიუჩინეს.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება დეპეშით ბელფასტიდან 14 აგვისტოს რიცხვით: „ჩვენ მძიმედ მივდივართ წინ, რადგანაც ომი დიდ-მანძილზედაა ატეხილი და ადგილ მდებარეობაც ხელსგვიშლის: მაინც ჩვენ საკმაოთ გავიმარჯვეთ. ბულერის ჯარებმა დაიპყრეს ბერგენდალი, მეტად ძლიერი პოზიცია ჩრდილოეთ-დასავლეთით დალმანუტიდან. მე დავსტოვე ბულერი ბერგენდალთან. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ზარალი არ აღემატება ორმოც-და-ათ კაცს; ზარალი ნაკლებია იმაზედ, რისაც შიში უნდა გვქონოდა, რადგანაც პოზიციასთან მისვლა მოგვიხდა გაშლილი მინდვრით ორ სამ ათას იარდის მანძილზედ. მტერი მედგრად იბრძოდა, და ბევრი ბურები დაიხოცნენ, მეტადრე რომელნიც იმყოფებოდნენ კლდიან გორაკზედ; ესენი დახოცა ლიდიტის ყუმბარებმა. დავლად ავიღეთ მიტრალიოზა. ომი იყო ბრწყინვალე. ბულერი წინამძღვრობდა ძალიან ხელოვნურად. არტილერიის და ქვეითა ჯარის სროლის ერთ-ურთზე ჰოქმედება იყო ნამეტმნავად ძლიერი. მარჯხენა ფრთაზედ ფრენჩი მივიდა ლეიდენბურგის გზით სვარტის გორაკებამდე და ამით გაუხსნა გზა პოლკერიუს დივიზიის ხვალინდელს გალაშქრებას. რენდლი იუწყება, რომ გუშინ, ბრანდვატერთან დაზვერის დროს, მოკვდა ერთი აფიცერი და ერთიც დაიჭრა; დავლად აიყვანეს 700 სული საქონელი. ბადენ-პაუელი იუწყება, რომ ნილსტრომამდე ისე მიველ, რომ წინაალმდეგობა არავის გაუწევია და დავიკავე ადგილი, შემოსილი ხშირი ჯაგებით, სადაც ვმოქმედობდი პეჯეტთან ერთადაო. რადგანაც სასურველი არ იყო ჯერ მათის ჯარების წინ წასვლა ჩრდილოეთისაკენ, ამისათვის ისინი დაბრუნდნენ პრეტორიაში.

**ჰონკონგი.** კანტონში მშვიდობიანობაა.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

ნ ი ხ რ ი

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | $8\frac{1}{2}$ კ. |
| სუკი . . . . . | » | — 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — $8\frac{1}{2}$ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — 8 კ. |
| » ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3\frac{1}{2}$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3\frac{1}{2}$ | » |
| ლავაში ჯვ. მაშ. | I | » | » | 6 | « |
| » » | II | » | » | 4 | « |

სააგადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იეღიგაროვისა. ექიმი ტერასტუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ზარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ორს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეძქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

**მატარებელი № 7** ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

**სახალხო მატარებელი № 33** რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

**სააგარაკო მატარებელი № 15** ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

**სააგარაკო მატარებელი № 16** მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

**სააგარაკო მატარებელი № 18** გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობამდე მოაღწია ცნობამ,

რომ ვიღაც უცნობი პირები წინადადებას აძლევენ ლოტკის-გორისა და «ნამალადევი»-ს ადგილების იჯარით აღების მსურველებს, რომ ისინი, თუ მათ ფულს მისცემენ, იჯარის საქმეს მოუწყობენ გამგეობასთან. რათა მოსპობილ იქმნას ამ გვარი ექსპლოატაცია გულ-უბრყვილო პირებისა, გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ «ნამალადევის» ადგილები არ გაიცემა იჯარით, სანამ არ იქნება შედგენილი მისი საზოგადო გეგმა, და რაც შეეხება ლოტკის-გორას, ადგილები გაიცემიან იჯარით თანახმად საბჭოს მიერ დამტკიცებულ წესებისა.

ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს ლოტკის-გორის ადგილები, თუ იგი წარმოადგენს ყველა იმ საბუთებს, რომელიც საბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული, შეუძლია უშუამდგომლოდ მიმართოს თხოვნით ქალაქის გამგეობას და მიიღოს იჯარა.

(ნ. 3—2)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

### წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის გუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

### სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება


გამომც. ზ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Августа 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.